K 1048
2

მ. ლენინი

...ა-ეგრაელები სსრ ერთა კავშირში



ტფილისი
მეორე გამოცემა საქ. მემმს ისა
1928

325.356(=924)(47-41)

მშრომელ ებრაელთა მიწად-მომწყობი საკავშირო
საზოგადოება „მემმსი“

მ. კალინინი

მიწის მუშა-ებრაელები სსრ ერთა კავშირში

1048

საქართველოს სახელმწიფო
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი
მეორე გამოცემა საქ. მემმს-ისა
1928

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეგ-2000
შემოწმებულია

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, წულუკიძის ქუჩა № 4.

შეკვეთა № 381. ტირაჟი 2000. მთავლიტი 2152.

წინასიტყვაობა

ამხ. კალინინის სიტყვა, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ ქართულ ენაზე—ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელისუფლება უდიდესი ყურადღებით ეპყრობა მშრომელ ებრაელთა მიწაზე გადასახლების საქმეს.

ოქტომბრის რევოლიუციამ ძირფესვიანად შესცვალა ძველი ქვეყნის დახავსებული ადათ-ჩვეულებანი და ბოლო მოუღო იმ დიდ უსამართლობას, რომელსაც განიცდიდა ებრაელი მოსახლეობა. სსრ კავშირში ყოველი ერი თანასწორუფლებიანია. საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენა უდიდესი პრობლემა—ებრაელების მიწაზე და საერთოდ მათი საწარმოო შრომაზე გადაყვანა. რუსეთში, უკრაინში და ბელორუსიაში—სიტყვა უკვე საქმედ იქცა. დღეს იქ უკვე არსებობენ კოლონიები და სოფლები — ებრაელი მოსახლეობით. ამ უდიდესმა საქმემ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა საზოგადოებრიობაში.

მემმსის საქართველოს განყოფილება—ახლად აღმოცენებული ორგანიზაციაა და თავის განვითარების სტადიაში იმყოფება. საქართველოს ებრაელთა ეკონომიური მდგომარეობა ისეთივე მძიმეა, როგორც მოძმე რესპუბლიკებში. ამიტომაც გამოსავალი აქაც უნდა იყოს ისეთი როგორც ცენტრში. ისტორიულად წარმოყენებულ ამ დიად საკითხის პრაქტიკულად გადაჭრაში ჩვენ იმედი გვაქვს დაგვეხმარება, როგორც საქართველოს მთავრობა, აგრეთვე

ფართო საზოგადოებრიობა. საქართველოს მშრომელი ებრაელობა კი თავის მხრით—სრულიად დარწმუნებული ვართ—უდიდესი სიხარულით შეეგებება ამ მოვლენას, ჩაებმება ამ დიადი დასაწყისის საქმიანობაში და ხელისუფლებასთან ერთად—გამოსჭედს თავის მომავალს.

საქმემმსის გამგეობა

მეორე გამოცემისათვის

1928 წლის დამლევს ჩვენ გვიხდება მეორედ გამოცემა ამხ. კალინინის სიტყვისა ქართულ ენაზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება გაიზარდა და მისი იდეები თანდათანობით ფეხს იკიდებს, როგორც ებრაელ ისე არა ებრაელ მშრომელთა ფართო მასებში. საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზოგადოებას უკვე ჰყავს 1500-ზე მეტი წევრი. საქართველოშიაც უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საერთოდ მიწის კრიზისია, საქართველოს მთავრობამ გაუწია ანგარიში საქ. ებრაელთა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას და ყოველი მხრივ ხელს უწყობს მათ მიწაზე დასახლების. ამ მიზნით კახეთში უკვე გამოყოფილია მიწები 123 ოჯახისათვის (**წითელი გორა**), სადაც დაწყებულია წინასწარი მუშაობა. გადადგმულია აგრეთვე ნაბიჯები სხვა მაზრებშიაც. საქ. ცაკთანაც მოძმე რესპუბლიკების მსგავსად—დაარსებულია საქ. მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი კომიტეტი.

ხელისუფლებისა და ფართო მშრომელი მასების ურთიერთ დახმარება უზრუნველჰყოფს ამ დიდი ისტორიული საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას.

საქმემმსის გამგეობა.

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის შესახებ.

სსრ კავშირის პრეზიდიუმმა ა. წ. სექტემბრის 25 დაამტკიცა „სსრკ ც. ა. კ. ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის დებულება“. ამის გამო სსრკ ც. ა. კ-ის თავმჯდომარემ ამხ. **კალინინმა**, „ტასს“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს, განაცხადა შემდეგი:

— საბჭოთა ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო მრავალი წინად დევნილი ერი, რამდენიმე ათეული მილიონი კაცი, რომელთაც ცარიზმმა მძიმე ჭრილობები მიაყენა—ჭრილობები არა მარტო პოლიტიკური—უფლებათა აყრა, არამედ ეკონომიურიც: მან აჰყარა ისინი საუკეთესო მიწებიდან, და დაასახლა სილიან და ჭაობიან ადგილებში; იგი ხელს უშლიდა მათი მრეწველობის განვითარებას და სხვ. (თურქესტანი, კავკასია და სხვ.).

ოქტომბრის რევოლიუციას საფუძვლად უდევს რწმენა, რომ არ შეიძლება თანასწორობა იყოს იქ, სადაც ეკონომიური თანასწორუფლებიანობა არ არსებობს; ამიტომ მას არ შეეძლო არ გადაეტანა ეს პრინციპი ეროვნულ ურთიერთობათა სფეროშიც და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დააყენა დევნილ ერების ეკონომიურ ჭრილობათა განკურნების ამოცანა. ეს არის ერთ-ერთი უაღრესად დამახასიათებელი თვისება ჩვენი, საბჭოთა ეროვნული პოლი-

ტიკისა. თუ ამ თვალსაზრისით მიუდექით, ეგრეთ წოდებულ „ებრაელთა საკითხს“, უნდა ითქვას, რომ ებრაელების პოლიტიკურ-უფლებრივ გათანასწორების მხრივ ჩვენ ამ მოკლე ხანში, რა თქმა უნდა, ბევრი გავაკეთეთ, გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფომ, მაგრამ ეკონომიურად ჩვენ არამც თუ არ გავაუმჯობესეთ ებრაელთა ფართო მასების მდგომარეობა, არამედ ზოგიერთის მხრით გავაუარესეთ კიდეც.

ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ერებში მხოლოდ ებრაელებს ჰქონდათ აკრძალული სოფლად დასახლება და სასოფლო მეურნეობის წარმოება. ამას გარდა, ებრაელები შერეკეს ბინადრობის ზოლში და ამით აღუკვეცეს გზა მსხვილ მრეწველობისაკენ, რომელიც უმთავრესად შუა რუსეთში, ურალზე, დონბასში და ბაქოში იყო განვითარებული; შერეკეს ამგვარად წვრილ ქალაქებსა და დაბებში, სადაც ისინი ეწეოდენ უმთავრესად წვრილ ვაჭრობასა და ხელოსნობას. მაგრამ რა მისცა მათ ოქტომბრის რევოლიუციამ? რადგან ებრაელები არ ცხოვრობდენ სოფლად და სასოფლო მეურნეობას არ ეწეოდენ, მათ მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწა არ ერგოთ. მეორეს მხრივ კი, ჩვენ მიერ სახელმწიფო ვაჭრობასა და კოოპერაციაზე, მრეწველობის კონცენტრაციასა და რაციონალიზაციაზე აღებულ კურსმა სრულებით გამოაცალა ნიადაგი მრავალ ასი-ათას მშრომელ ებრაელს, სავსებით გამოაცალა ეკონომიური ბაზა და გადვაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელებმა და პეტლიურელებმა დახოცეს და დაასახიჩრეს მრავალი ათასი მშრომელი ებრაელი, გაძარცვეს და დასწვეს აუარებელი

ებრაული დაბა; ეს მოხდა ებრაელ მუშების ცარიზმთან გმირული რევოლიუციონური ბრძოლის თითქმის 30 წლის თავზე!

ამიტომ ჩვენი არსებითი და გადაუდებელი ამოცანაა—ჩავაბათ მშრომელი ებრაელები საწარმოო შრომაში. ებრაელების ფართო მასის ყოფა ცხოვრებასა და მდგომარეობაზე, ებრაელ საბჭოთა-მოსამსახურეების მიხედვით კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ხდება უკრაინისა, ბელორუსიისა, გომელის და სმოლენსკის გუბერნიების აუარებელ დაბა-ქალაქში. ამ უკანასკნელ წლებში გამოკვლეული იყო ებრაელების მდგომარეობა უკრაინაში, ბელორუსიაში და რსფსრ დასავლეთ გუბერნიებში. ამ გამოკვლევამ ცხადყო, რომ ებრაელი მოსახლეობის ფართო წრეები საშინელ სიღატაკეშია ჩავარდნილი, რომ ამ მოსახლეობის 30—40 პროც. არავითარი შემოსავალი წყარო არ აქვს; ახალგაზრდობაში კი ეს პროცენტი 70-მდე ადის.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ისიც, რომ შეუძლებელია რაიმე ეკონომიური და აგრეთვე პოლიტიკური გაჯანსაღება უკრაინისა, ბელორუსიის და ჩვენი დასავლეთ გუბერნიებისა, თუ ეკონომიურად არ გავაჯანსაღეთ ყველა იქაური დაბა-ქალაქი, სადაც ებრაელები ზოგან უმრავლესობას შეადგენენ, ზოგან—კი საგრძნობ ნაწილს. რადგან ჩვენი მრეწველობა ჯერ საერთოდ ნელის ტემპით ვითარდება, არ არის იმის იმედი, რომ მთელი ეს გზა-დაკარგული ხალხი მრეწველობის ფერხულში ჩაებას. გვრჩება ერთი გზა—ებრაელთა მასის რაც შეიძლება მეტი ნაწილი სასოფლო მეურნეობაზე გადავიყვანოთ. ამ გზაზე ჯერ კიდევ 1918 წელს მიგვითითა ამხ.

ლენინმა (იხ. წინასიტყვაობა ამას წინად გამოსული წიგნისა: „ვ. ი. ლენინი და ებრაელთა საკითხი“).

მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლად მოვკიდეთ ხელი ამ საქმეს.

სოფლის მეურნეობაზე გადასვლა სავსებით შეეფერება ებრაელთა მშრომელი მასის სტიქიურ ლტოლვას. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის მიერ დაარსებული „მშრომელ ებრაელთა მიწათ მომწყობ კომიტეტის“ მუშაობის ერთი წლის განმავლობაში გადავიდა სასოფლო მეურნეობაზე 6.000 ებრაელი ოჯახი, რომლებმაც იმ ჟამრავ სიძნელეთა მიუხედავათ, რაც დაკავშირებულია ქალაქში მცხოვრების სოფლად დასახლებასთან, დიდი შრომის უნარი და მოწადინება გამოიჩინეს და თავიანთი მეურნეობა ისეთ დონეზე დააყენეს, რომ იგი გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ადგილობრივი გლეხების მეურნეობა.

ახალად ჩასახლებული ებრაელები მეტ-წილად კოლექტივებს ადგენენ.

ჩვენ მიერ მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობისათვის მიღებული ღონისძიებანი დიდ როლს ითამაშებენ აგრეთვე სხვადასხვა ერის მშრომელთა დაახლოვების საქმეში და წარსულის წყეული ნაშთის ანტისემიტიზმის-აღმოფხვრაში. როდესაც რუსი, უკრაინელი, ბელორუსი გლეხი თავის მეზობლად ებრაელ გლეხს დაინახავს, იგი ადვილად განასხვავებს მშრომელ-ებრაელს ებრაელ-ექსპლოატატორისაგან, ისევე, როგორც მან რუსი გლეხისა და რუსი მემამულის თუ გენერლის გარჩევა ისწავლა.

ძალიან სასურველი იქნებოდა აგრეთვე, რომ წითელი არმიის ადგილობრივი ნაწილები ახლო გაეცნონ

ახლად დასახლებულ ებრაელთა კოლექტივების—ამ ახალი ებრაელი გლეხობის პიონერთა ყოფა ცხოვრებას. ეს დიდად შეუწყობდა ხელს ნაციონალისტური ბურჟუსის გაფანტვას და უფრო მეტად განამტკიცებდა ჩვენ ძირითად—გზის მაჩვენებელ პრინციპს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“—ყველა ქვეყნისა და ყველა ერისა!

მიწის მუშა-ებრაელები სსრ ერთა კავშირში.

(ამხ. მ. ი. კალინინის სიტყვა—წარმოთქმული მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოების (ძემმსი) ყრილობაზე 1926 წ. ნოემბრის 17).

სსრკ—სამშობლოა ყველა მშრომელი ერისათვის.

— ამხანაგებო, დღევანდელი ყრილობა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო დამახასიათებელია საბჭოთა რესპუბლიკისათვის, ყველაზე უფრო მეტად გამოხატავს მის არსს. არც-ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ არის შესაძლებელი ასეთი ყრილობა—ებრაელ გლეხების ყრილობა. ასეთი ყრილობა მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შესაძლებელი. რას ნიშნავს ეს?

ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ამ კავშირს ძველი რუსეთის შინაარსი—კი არა აქვს, რომ სსრ კავშირი ამა თუ იმ ერის სპეციფიური, თვითმპყრობელობის ქვეყანა-კი არაა, არამედ კავშირია ყველა იმ ერისა, რომლებიც შედიან მასში. საბჭოთა კავშირში ყოველ ერს უნდა მიეცეს თავისი ადგილი. რომ სსრ კავშირში იყოს ისეთი ერები, რომლებსაც არ აქვთ თავისი ადგილი, რომლებიც არ გრძნობენ თავის თავს ერად, კავშირის, სრულუფლებიან მოქალაქედ, არ მიაჩნიათ ეს კავშირი თავის სამშობლოდ, მაშინ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი თავისი შინაარსით ვერ იქნებოდა ყვე-

ლა ამ ერის ნამდვილი ძმური კავშირი. და სწორედ, ებრაელ მიწადმომქმედთა ყრილობა ნათელყოფს ნამდვილ არსს ჩვენი კავშირისა, რომელშიდაც ყოველი ერი აყალიბებს თავის ეროვნულ სახეს.

ებრაელი ერი ძველ რუსეთშიდაც და, ყველა დანარჩენ ქვეყნებშიდაც უაღრესად დაბეჩავებული იყო. და რომ ძველ რუსეთში იგი არ მიემაგრებიათ ერთ განსაზღრულ ადგილზე, აქამდე მისი დიდი ნაწილი მთლად გაითქვიფებოდა დანარჩენ მოსახლეობაში.

ცარიზმის მიზანიც სწორედ ეს იყო, მაგრამ თავისი ტაქტიკით ხელი შეუშალა ამ ასიმილაციას, იგი ფიქრობდა, რომ უფლებათა შეკვეცით და უხეში ძალმომრეობით მოსპობდა ამ ერს, მაგრამ ნამდვილად-კი ტერიტორიალურად შემოფარგლა და შეამჭიდროვა იგი და გააღვივა ეროვნული ინსტიქტები. საბჭოთა სახელმწიფოს არ სჭირია არც მოსპობა, არც ასიმილიაცია და არც დაშლა რომელიმე ერისა.

საბჭოთა სახელმწიფო კლასობრივი სახელმწიფოა, იგი არის პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო და, შეიძლება ითქვას, არც ერთ სხვა სახელმწიფოში არა სჩანს მისი კლასობრივი ბუნება ისე აშკარად, როგორც საბჭოთა სახელმწიფოში. სხვა სახელმწიფოები-კი, მალავენ თავის კლასობრივ ხასიათს, თუმცა წმინდა კლასობრივი ბუნებისანი არიან. მათი ბურჟუაზიული კლასობრიეი ხაზი გამოიხატება ვიწრო წრის, მთელ დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით ძლიერ ვიწრო წრის პრივილეგიების დაცვაში—ისინი იცავენ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს. მოსახლეობის ეს ნაწილი რამდენიმე ასი ათას, სულ დიდი-დიდი რამდენიმე მილიონს თუ უდრის.

მრავალი დანარჩენი მილიონი—კი, რომელ ერსაც არ ეკუთვნოდეს გაბატონებულს თუ დევნილს-დაბეჩავებულია. ბურჟუაზიულ სახელმწიფომ იცის, რომ მთელი მისი პოლიტიკა ამ უმნიშვნელო უმცირესობის ინტერესებს იცავს და ამიტომ ცდილობს თავის თავი არა-კლასობრივად მოგვაჩვენოს. სსრ კავშირი--კი პირიქით მთელი ქვეყნის წინაშე ააშკარავებს თავის კლასობრივ შინაარსს სრულებით ახდილად, რადგან იგი იცავს მუშურ-გლეხურ მშრომელ მასებს, იცავს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, დიდ უმრავლესობას. ჩვენ გვაქვს დიქტატურა, რკინის დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელსაც გვერდში უდგას გლეხობა, და, რა თქმა უნდა ამ დიქტატურის ეროს ქვეშ მოექცა უმცირესობა. მაგრამ ჩვენ ამას არ ვმალავთ არც ვერიდებით. ჩვენ ვდევნით და ვამსხრევთ ყველაფერს რაც წინააღმდეგობას გვიწევს და პროლეტარიატის დიქტატურას ებრძვის. წვრილ ბურჟუაზიას, რომელმაც მიიღო საბჭოთა ხელისუფლება და სურს ასე თუ ისე იმუშაოს საბჭოთა კავშირში, მისი კანონის ფარგლებში—ჩვენ ვითმენთ. ჩვენ არა გვაქვს არავითარი მიზეზი-დავმალოთ ყოველივე ზემონათქვამი, ბურჟუაზია--კი მალავს თავისი პოლიტიკის ნამდვილ ბუნებას.

ახლა ვიკითხოთ თუ რა ამოცანები სდგას სსრ კავშირის წინაშე. ჩვენი მიზანია მივსცეთ კავშირის მშრომელთ, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდეს ისინი, სიკეთეთა მაქსიმალური რაოდენობა, მივცეთ კავშირის ყოველ ერს გაშალოს თავისი შემოქმედებითი უნარი, მოვსპოთ ყოველგვარი ჩაგვრა ეკონომიური, პოლიტიკური, ეროვნული, —რადგან ეროვნული ჩაგვრა თავის არსებით იგივე ეკონომიური ჩაგვრაა.

ანტისემიტიზმი და ეროვნულ ჩაგვრასთან ბრძოლა.

რადგან ჩვენ მიზნად ვისახავთ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობას, ცხადია, ჩვენ წინაშე სდგება მთელი რიგი პრაქტიკული კითხვებისა-თუ როგორ მოვსპოთ იგი. ერთია—დეკლარაცია, სულ სხვა-მისი ცხოვრებაში გატარება. ოქტომბრის რევოლიუციამ აღიარა ყველა ერის თანასწორობა, ყველა თანასწორუფლებიან მოქალაქედ გამოაცხადა, ყველას მიანიჭა უფლება დაიჭიროს სახელმწიფოებრივი თანამდებობა-უმდაბლესი თუ უმაღლესი—სრულად ისარგებლოს თავისი უფლებებით ყველგან და ყოველთვის. მაგრამ ეს უფლებაა, მისი განხორციელების საშუალება-კი არის? თქვენ თითონ გესმით, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც სრულებით გაანთავისუფლა ყველა ერი, მათ შორის ებრაელი ერიც ერთის მხრივ გაანთავისუფლა და მეორეს მხრივ-კი დიდად ავნო მას; (ამის თაობაზე მე ვლაპარაკობდი ერთ-ერთ ჩემს წერილში ებრაელთა საკითხის შესახებ). მე ვამბობ: ავნო, რადგან ოქტომბრის რევოლიუციამ პირველ ხანებში, მწვავე სამოქალაქო ომის დროს, მოსპო—თუნდაც დროებით-შინამრეწველობა—ებრაელი მოსახლეობის არა თუ კეთილდღეობის, არამედ არსებობის წყაროც. ეს განსაკუთრებით მწვავედ განიცადა დაბა-ქალაქის ღარიბ ებრაელმა, სწორედ-ღარიბმა. ამიტომაც ვამბობთ: დეკლარაცია-კარგია, მაგრამ ჩვენ უნდა შეუდგეთ უკვე მის განხორციელებას, ცხოვრებაში გატარებას.

ჩვენი კავშირის არსებობის 9 წლის განმავლობაში ჩვენში გაჩნდა მთელი რიგი ავტონომიური რესპუბლიკებისა, ეროვნული ოლქებისა, თავი იჩინა ისეთ ერებმა,



რომლებიც ძველ, სამეფო რუსეთში თითქმის არც კი სჩანდენ. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ მოძრავ საკმაოდ კულტურულ, მუდმივ საარსებო ბრძოლაში პოლიტიკურად და სოციალურად გამობრძმედილ ებრაელ მოსახლეობასაც არ შეეძლო არ ამოეღო ხმა და არ მოეთხოვა თავისი ეროვნული ადგილი საბჭოთა კავშირში. სრულებით გასაგებია, რომ ანტისემიტიზმი გავრცელებულია ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. თუ ძველ რუსეთში ანტისემიტიზმს სთესდენ იმის შიშით, რომ ბინადრობის ზოლიდან გასულ ებრაელებს მეტოქეობა არ გაეწიათ რუსეთის კაპიტალისტებისათვის,—ანტისემიტიზმი სხვა ქვეყნებშიდაც არსებითად ისეთივე ნიადაგზე აღმოცენდა. ბურჟუაზიას შურს, ეშინია მეტოქეობისა და ცდილობს შეინარჩუნოს თავისი ეპირატესობანი. და ამიტომაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში ანტისემიტიზმი ადვილი გასაგებია. მაგრამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში არსებითად ძველი წყობილების ნაშთია; მისი ჩანასახი, სათავე უნდა ვეძიოთ ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წრეებში.

ჩვენ გლეხებსა და მუშებში ანტისემიტიზმს არ ექნებოდა ღრმად გადგმული ფესვები, ვინაიდან ეს ანტისემიტიზმი შთაგონებული არის, თორემ თავისით იგი ვერ წარმოიშობოდა.

ვის მიერ არის შთაგონებული, ჩასმენილი ეს ანტისემიტიზმი? რატომ არის რუსეთის ინტელიგენცია ჩვენს დროში, შეიძლება ითქვას კიდეც, უფრო ანტისემიტურად განწყობილი, ვიდრე ცარიზმის დროს იყო? ეს სავსებით ბუნებრივია. რევოლიუციის პირველ დღეებში მოძრაობაში ჩება ინტელიგენტური და ნახევრად-ინტე-

ლიგენტური ქალაქის ებრაელი მასა. ეს ერი მუდამ დევნილი იყო, მას არას დროს არ ჰქონია წილი სახელმწიფოებრივ მმართვა-გამგეობაში, მის წრიდან სხვაც რომ არა ვთქვათ „ურიადნიკიც“ ვერ გამოვიდოდა; ამიტომ იგი, თავის-თავად ცხადია, დაეწაფა რევოლიუციონურ მშენებლობას; ამ მშენებლობასთან—კი დაკავშირებულია მართვა-გამგეობაც. მრავალ ებრაელს ეჭირათ სხვა და სხვა თანამდებობა-კომისრისა, ქვეკომისრისა, ხელმძღვანელისა და სხვ. ათასი წლების განმავლობაში ეს იყო პირველი მაგალითი იმისა, რომ ებრაელს შესაძლებლობა მიეცა ყოფილიყო არა მარტო ვაჭარი, მუსიკოსი, ექიმი ან სხვ. რაიმე თავისუფალი პროფესიის კაცი, არამედ სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიც მიეღო მონაწილეობა ან არმიაში შესულიყო. სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილი შეუშინდა და გვერდზე გადაუდგა რევოლიუციას, ებრაელი ინტელიგენციის დიდმა პროცენტმა მიაშურა რევოლიუციას, და შეუდგა მუშაობას რევოლიუციონურ მართვა-გამგეობის ორგანოებში. აი ამ ნიადაგზე ვითარდება ანტისემიტიზმი.

მაგრამ ებრაელი ხალხისთვის, როგორც ერისათვის, ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს, და ამასთან, მე ვიტყოდი, უარყოფითი მნიშვნელობა. როცა ერთ-ერთ ქარხანაში შემეკითხენ: „რატომაა მოსკოვში ამდენი ებრაელი“, მე ვუპასუხე: „მე რომ ძველი რაბინი ვიყო, რომელსაც გული შესტკივა ებრაელი ერისათვის, შევაჩვენებდი იმ ებრაელებს, რომლებიც მიდიან მოსკოვში და იქ საბჭოთა თანამდებობებს იჭერენ, რადგან თავისი ერისათვის ისინი დაკარგული ხალხია“ (სიცილი, ტაშის ცემა). მოსკოვში ებრაელებსა და რუსებს შორის სისხლის

შერევა ხდება, ებრაელები მეორე ან დიდი დიდი, მესამე თაობიდან უკვე სავსებით ჰკარგავენ თავის ეროვნულ სახეს და ჩვეულებრივ რუსოფკატორებათ იქცევიან.

ჩემი აზრით მიწაზე დაფუძნების ლტოლვას, რომელმაც მოიცა დიდი ნაწილი ებრაელი ხალხური ინტელიგენციისა და უფრო დიდი ნაწილი ღარიბი ებრაელებისა, საფუძვლად უდევს უპირველეს ყოვლისა ეკონომიური აუცილებლობა, სურვილი გაიმაგრონ თავისი ეკონომიური ბაზა. თუ ჩვენ ამ მოვლენას იდეოლოგიურად, ეროვნული თვალსაზრისით მიუდექით, მე მგონი, დავინახავთ, რომ ეს ლტოლვა ერთ ერთ უძლიერეს, მასიურ, არაცნობიერ მოვლენას აამკარავებს—სურვილს ერის შენახვა-შენარჩუნებისა. ჩემის აზრით, ეს არის ეროვნული თვითდაცვის ერთ-ერთი ფორმა.

ეროვნულ თვითდაცვის ლტოლვა.

იმ ასიმილაციისა და ეროვნულ საზღვრების წაშლის წინააღმდეგ, რომელიც მოელის ყოველ პატარა ერს, თუ კი მას საკუთარი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა არა აქვს,—ებრაელ მასებში გაიზარდა თვითდაცვის გრძნობა, გაღვივდა ბრძოლა ეროვნებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ახლანდელ პირობებში სამიწადმოქმედო კომუნების ორგანიზაცია, გლეხური სასოფლო მეურნეობის მოწყობა, შეიძლება ითქვას, არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ებრაელი ერის თვითშენახვისათვის. მე ვამბობ, რომ ამ მოვლენას საფუძვლად უდევს ეკონომიური მისწრაფება და სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობა, დაბა-ქალაქის ღარიბ ებრაელთ აფუძნებს მიწაზე მათი საკუთარი სურვილისამებრ. მთავრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე საკითხს პრაქტიკულად უდგება; ჩვენ ვხედავთ, რომ ღარიბი ებრაელები ტანჯვას განიცდიან, რომ საჭიროა მისთვის რაიმე გამოსავსლი მოინახოს—და აი ეს ჩასახლებაც ღარიბი ებრაელებისათვის ერთგვარი ხსნა, ეკონომიური გამოსავალია. მაგრამ მთავრობა, თუმცა მას ესმის, რომ ებრაელთა ერთი ნაწილის მიწის მეურნეობაზე გადასვლა იმავე დროს ებრაელი ერის განმტკიცებაა, სრულებითაც არ უშლის ამას ხელს. საბჭოთა მთავრობას, რომელიც ხელს უწყობს ებრაელ ერს და ყველა სხვა ერებსაც ყოველგვარი საშუალებით, რაც მის ხელთ არის (ეს საშუალებანი-კი, რა თქმა უნდა, ერთობ მცირეა), რომელიც სცდილობს აღადგინოს ღარიბ ებრაელების კეთილ-დღეობა, ესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ყოველივე ამას ებრაელ ერისთვის.

რა თქმა უნდა, ის შედეგები, რაც აქამდე მოგვცა მშრომელ ებრაელების მიწაზე დასახლებამ, ჯერ-ჯერობით ეროობ მცირეა და სრულებით ბუნებრივიცაა. თქვენ თვითონ გესმით, რომ იმ ერის ეროვნულ-სამიწადმოქმედო კულტურის შექმნა, რომელიც მიწადმოქმედებას არას დროს არ ეწეოდა,—ეს, არსებითად, გრანდიოზული ამოცანაა. მაგალითად, ერთი კომლის მოსაწყობად, საჭიროა არა ნაკლებ ათასი მანეთისა, თუ ყველა ხარჯები მივიღეთ მხედველობაში. და ბოლოს, სასოფლო მეურნეობა ისეთი საქმეა, რომლის შედეგი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე. ჯერ კაცმა გადასვლაც ვერ მოასწრო და ზოგი მწერალი უკვე მიღწევებზე ლაპარაკობს. ეს დიდი შეცდომაა. ეს ფანტაზიაა. ვინც ასე ლაპარაკობს—ის არ იცნობს გლეხის მეურნეობას.

მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მრავალი სოფლად დასახლებული ქალაქელი ებრაელი იმედგაცრუებული დარჩება, თუ დაუყონებლივ შედეგები არ მიიღო და ბუნებრივიცაა, რომ ბევრ იმათთაგანს, ვინც თავისი ერის შენახვა-შენარჩუნებისათვის ხელი მოჰკიდა სასოფლო მეურნეობას და ამ ახალ გზაზე დიდ ძიძნელეს, ხოლო მცირე ნაყოფს იგემებს, იმედი გაუცრუვდებათ. უნდა გვახსოვდეს, რომ დიდ საქმეს დიდი შრომა სჭირია. უამისოდ კარგ შედეგებს ვერ მივაღწევთ.

ებრაელი ერის წინაშე დიდი ამოცანა სდგას—შეინარჩუნოს თავისი ეროვნება, ამისათვის—კი საჭიროა, რომ ებრაელების დიდი ნაწილი, რამდენიმე ასეული ათასი, მაინც გადაიქცეს მკვიდრ, მჭიდრო გლეხურ, მიწადმომქმედ მოსახლეობათ. მხოლოდ მაშინ შეეძლება ებრაელ ერს შეინარჩუნოს მომავალში თავი. ებრაელი ერის წინაშე დიდი ამოცანა სდგას და ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა ენერგიული და დაუღალავი შრომა, ვინაიდან ებრაელი მასა არ არის ჩვეული მიწის დამუშავებას, ვინაიდან ქალაქელის შრომა სულ სხვაა, ვიდრე გლეხისა.

ამისათვის დიდი თანხებია საჭირო. მთავრობა, თავის მხრივ, ყოველივე საშუალებას ხმარობს, რომ გაუწიოს ამ საქმეს რაიმე მატერიალური დახმარება. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მთავრობის წინაშე სდგას საკითხი აგრეთვე სხვა ეროვნების უკრაინელ, რუს, ბელორუს და სხვ.—გლეხობის გადასახლების შესახებ. რომ მთელი ამ გლეხობის პრეტენზიები თუნდაც ნახევრად დავაკმაყოფილოთ, ჩვენ მთავრობას მოუხდებოდა რამდენიმე ასეული მილიონის გაღება. ამისი საშუალება-კი საბჭოთა კავშირს ამ ჟამად არა აქვს. ამიტომ საბჭოთა მთავრობამ

ებრაელ გლეხობის თავისუფალ ადგილებზე გადასახლებისათვის შედარებით მცირე თანხები გაიღო. ამასთან ის ცდილობს მისცეს გადასახლებულთ ისეთი მიწის ნაკვეთები, რაც თავისი კლიმატიური და სხვაგვარი პირობების მხრივ შეეფერება ებრაელ მოსახლეობის ჩვეულებებს. სწორედ ამიტომ ამოვირჩიეთ ყირიმი, უკრაინის სამხრეთი ნაწილი. ეს ადგილები როდი სჯობია იმათ, რომლებიც ჩვენ სხვა ოლქებიდან ბელორუსიიდან, შუა რუსეთიდან და უკრაინიდან—გადმოსახლებულთ მიუჩინეთ. და ტყუილად ცდილობენ ჩვენი მტრები და ანტისემიტები დაამტკიცონ, თითქოს ებრაელებს საუკეთესო მიწები ეძლეოდეთ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მიწები არა თუ უკეთესია, არამედ, ნიადაგისა და ჰავის მხრივ, გაცილებით უარესია და უდიდეს შრომას მოითხოვენ.

რუსების გადმოსახლებას ამ მიწებზე დიდი თანხები დასჭირდებოდა და საბჭოთა მთავრობა ვერ იკისრებდა ამას, რადგან ჩვენ რუსებს, უკრაინელებს და ბელორუსებს ათი ათასობით ვასახლებთ; ჩვენ რომ დაგვეპირებინა მათი ყირიმში გადასახლება, ასი ათასების ნაცვლად სულ მცირედი რაოდენობის გადასახლებას თუ მოვახერხებდით, რადგან გადასახლება მეტ ხარჯებს მოითხოვდა და ეს კი შეამცირებდა გადასახლებულთა რიცხვს.

ებრაელების ყირიმში ჩასახლებას ხელს უწყობს ორი გარემოება. ერთის მხრივ, ყირიმში და ყირიმს ახლო გვაქვს ებრაელებისათვის კლიმატიურად შესაფერისი ადგილები, მაგრამ მათ მოსაგვარებლად საჭიროა დიდი ხარჯი, დიდი კაპიტალი, საბჭოთა მთავრობას-კი ამჟამად არ შეუძლია საკუთარი წყაროებიდან გაიღოს საჭირო თანხები. მაგრამ, მეორე მხრივ, საბჭოთა მთავრობა არ უშ-

ლის ებრაელ-მოახალშენეებს მიიღონ დახმარება საზღვარ გარეთ მცხოვრებ ებრაელ კაპიტალისტებისაგან, მე ვამბობ, საზღვარ-გარეთ მცხოვრებთაგან, რადგან სსრკავშირში ჩვენ თავის დროზე ლიკვიდაცია ვუყავით ებრაელ კაპიტალისტებს. ფიზიკური ლიკვიდაცია-კი არ მოგვიხდენია, არამედ მათი კაპიტალების ლიკვიდაცია მოვახდინეთ და ამიტომ მათ სრულიად დაჰკარგეს მნიშვნელობა. ჩვენ მართალია გაუსწორდით ებრაელ კაპიტალისტებს, მაგრამ ამითი თვით ებრაელი ერის ლიკვიდაცია კი არ გვსურს. და აი აქ ერთმანეთს ორი სხვა და სხვა ინტერესი, სხვა და სხვა თვალსაზრისი შეხვდა. ერთია მასის თვითდაცვის ინსტინქტი და მეორე კი-ეროვნული გრძნობა საზღვარგარეთ მცხოვრებ ებრაელ-კაპიტალისტებისა, რომლებიც გრძნობენ თავის ცოდვებს ებრაელი ერის წინაშე და თუმცა სიმდიდრეში სცურავენ, მაგრამ მაინც სწუხან, რომ მათი თანამოძმე ხალხი წვალობს, იტანჯება. ოდესლაც რუსეთის მემამულეებიც, თუნდაც ნაწილი, გრძნობდენ თავის პასუხისმგებლობას ყმების წინაშე; ესევე ხდება ეხლაც. თუ ეს გრძნობა უფრო სუსტია, რადგან კაპიტალისტური სამყარო ნაკლებად მგრძნობიარეა, ვიდრე ძველი აზნაურობა იყო და აი, როცა ებრაელ-კაპიტალისტში იღვიძებს ეროვნული გრძნობა, სურვილი დაეხმაროს თავის ხალხს, ბუნებრივია, რომ მრავალ საზღვარ-გარეთელ ებრაელ კაპიტალისტს ებადება აზრი ხელი გაუმართონ მოახალშენეთ. რა თქმა უნდა, ბევრი ეჭვის თვალით შეხედავს ამას: როგორ შეუძლია საბჭოთა კავშირს, რომელიც გადაჭრით უარყოფს კაპიტალიზმს, ებრძვის ყველა სახის კაპიტალიზმს, შეურიგდეს ამას, დაუშვას ასეთი დახმარება დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისაგან. ამაზე მე ვუ-

პასუხებდი მხოლოდ ერთ რამეს: ბურჟუაზიულ პარლამენტებში ხშირია შემთხვევა, რომ კომუნისტები ხმას აძლევენ უკიდურეს მემარჯვენებთან ერთად, ვთქვათ, მთავრობის ამა თუ იმ შემადგენლობის წინააღმდეგ. მათ სრულებით საწინააღმდეგო მიზანი და მოტივები აქვთ, მაგრამ ხმას-კი ერთად აძლევენ. ასევე ხდება ჩვენშიაც. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ყურადღებით ეპყრობა ყოველივე ერს, მას არც შეუძლია არ მოიქცეს ასე. ჩვენი მთავრობა არ იქნებოდა საბჭოთა მთავრობა, რომ ხელს არ უწყობდეს ყველა პატარა ერს შეინარჩუნოს თავისი არსებობა და ეროვნული გრძნობა. მხოლოდ ასეთ პირობებში, ვიმეორებ, შეუძლია ყოველ ერს საბჭოთა კავშირი თავის სამშობლოთ იცნოს.

და მხოლოდ დღეს გაიჩინა სამშობლო ებრაელ მოსახლეობამ, თუმცა იგი უკვე რამდენიმე ათასი წელიწადი ცხოვრობს ჩვენში. მე ვწერდი უკვე ერთ-ერთ ჩემს წერილში, რომ ჩვენთვის სრულებით არ არის სამარცხვინო, როცა ებრაელი კაპიტალისტები გარბიან ჩვენგან დასავლეთ ევროპაში და იქ ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიას აწარმოებენ; მაგრამ ჩემის აზრით, ყოვლად დაუშვებელია, რომ მშრომელი ებრაელები თავისი ბედ-ილბალის საძებრად წავიდნენ საბჭოთა კავშირიდან.

ამხანაგებო, ჩემის აზრით, საბჭოთა კავშირი ებრაელ მასებისათვის ათჯერ უკეთესი სამშობლო უნდა იყოს, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული პალესტინა, რადგან ამხანაგებო,—რას მისცემს პალესტინა მშრომელ ებრაელებს? პალესტინას ვიდრე იქ საბჭოთა ხელისუფლება არ დამყარდება, შეუძლია მხოლოდ ექსპლოატაცია მისცეს მათ, ხოლო როდის დამყარდება იქ საბჭოთა ხელისუფლება—

ეს ჩვენ არ ვიცით ჯერ. ბოლოს და ბოლოს, განა ჩვენ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ოლქებს შერჩა რაიმე ორგანიული, ფიზიოლოგიური ან სხვა რამ კავშირი პალესტინასთან? ვერაფერი ვერ შერჩებოდა.

ხშირია ხოლმე, რომ რომელიმე აბსურდი ან ცრუ-აზრი საყოველთაოდ არის გავრცელებული. თითქოს ცხადია, რომ იგი შეცდომაა, გაუგებრობისა და დაუკვირებლობის ნაყოფია, მაგრამ მას მაინც ყველა იზიარებს. ასეთია ის ცრუ-აზრიც, თითქოს ძველი რუსეთის სახელმწიფოების თვალსაზრისით ებრაელები რუსეთში ვერ ჩაითვლებიან რუსებათ. მაგრამ ებრაელებს ამ ქვეყანაში უკრაინელებსა, პოლონელებსა და, შეიძლება ითქვას, რუსებზე ნაკლები-კი არ ეცხოვრიათ. მიუხედავად ამისა ეს ცრუ-აზრი გავრცელებულია როგორც რუსებსა, ისე ებრაელებს შორის.

გუშინ დევნილნი—დღეს სწორუფლებიანი შვილები.

ებრაელები, რომლებიც ძველთაგან ცხოვრობენ ჩვენ სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებში, რუსებთან ერთად მონაწილეობას იღებდენ რუსული კულტურის განვითარებაში, რუსებთან ერთად განიცდიდენ ექსპლოატაციას; მათ არ ჰქონდათ სამშობლო, ისინი მონები იყვენ. მათ ცხოვრების სპეციფიურ ფორმას ახვევდენ თავზე, რომ ამით განემარტოვებინათ ისინი. ჩემის აზრით იმ ფართოდ გავრცელებულ „ობივატელურ“ აზრს, თითქოს ებრაელებმა თავისი სამშობლო სადმე სხვაგან უნდა ეძიონ, ჩვენში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სამშობლოს ხელოვნურად ვერ მონახავ. არ შეიძლება სამშობლოს ხელოვნურად შექმნა სადღაც გარეთ, იგი

უნდა შექმნა იქ, სადაც ამა თუ იმ ერის კომპაქტური მასა მოსახლეობს—და რომ ეს ქვეყანა ნამდვილად გახდეს მისი სამშობლო, იგი უნდა დაიპყრო და აი ოქტომბრის რევოლიუციამ დაიპყრო არა ეფემერული, არამედ ნამდვილი, კონკრეტული სამშობლო. სსრ კავშირი—კონკრეტული სამშობლოა მშრომელ ებრაელებისათვის, ისევე როგორც კავშირის დანარჩენ ეროვნებათა მშრომელთათვის; ამიტომ ებრაელები, როგორც საბჭოთა კავშირის სწორუფლებიანი შვილები, უნდა შეუდგენ თავისი ცხოვრების შენებას. ყოველივე დანარჩენი მხოლოდ ილიუზიაა, რომელსაც შეუძლია სულიერი კმაყოფილება, სულიერი საზრდო მისცეს ამა თუ იმ ცალკე ადამიანს, რამდენიმე ათეულ კაცს, მაგრამ იგი ვერას დროს ვერ დააკმაყოფილებს მთლიანად მრავალ-მილიონიან ებრაელ ერს. თუ ებრაელი ერი ეძებს თავის სამშობლოს, იგი უნდა მონახულ იქნას საბჭოთა კავშირის შიგნით. ებრაელი ერის, მშრომელ ებრაელთა მასის კეთილდღეობას ვერ დავაცილებთ რუსი მუშის, რუსი გლეხის კეთილდღეობას, იგი—საერთოა. ამიტომ ჩვენ არ გვეშინია ეროვნული ქიშპობისა, ჩვენთვის იგი არ არსებობს: განა ყირიმის უვარგის მიწებზე დასახლებული ებრაელი ჩვენი კონკურენტია? არა! ვის რას წაართმევენ, ვის გაუწევენ კონკურენციას? მათ შეუძლიათ მხოლოდ ახალი მატერიალური ღირებულება შექმნან და ამით ძალა შემატონ საბჭოთა კავშირს.

ამხანაგებო, რას ვხედავთ ჩვენ ამ ჟამად? ჩნდება მცირე ტერიტორიალური ებრაელი ერთეულები. ისინი ერთობ მცირენი არიან, მიკროსკოპიულნი, მაგრამ ზოგჯერ მცირე დიდ რასმე ნიშნავს. ებრაელთა ახალშენები, სოფლები, თემები ძლიერ მცირერიცხოვანია, მაგრამ

ებრაელი ერისათვის მათ უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვთ. ებრაელი ერის სამშობლო ჯერ ერთობ მცირეა, მაგრამ მას უკვე აქვს ოლქები, ტერიტორია, ნიადაგი, ფუძე. უწინ ებრაელებში თითო ოროლა ილბლიანი კაცი, კაპიტალისტი თუ გამოერევოდა, მაგალითად, ბარონი გინზბურგი, რომელიც, მეფეთა წყალობით, მიწას ფლობდა; ახლა-კი ებრაელი მასა მიწადმოქმედებას ჰკიდებს ხელს, ქმნის თავის ტერიტორიალურ ერთეულებს—და ყოველივე ამას ვინმე წარჩინებული პირის წყალობით-კი არ სჩადის, არამედ მიტომ, რომ ეს მისი უფლებაა, ჩვენი კავშირის მუშებთან და გლეხებთან ხელიხელ ჩაკიდებულ ბრძოლაში მონაპოვარი უფლებაა. აი რაშია განსხვავება! ეს უფლება ებრაელებმა ბრძოლით მოიპოვეს და, ბუნებრივიცაა, რომ ისინი სსრ კავშირის სწორუფლებიან მოქალაქეებათ გრძნობენ თავს.

სიძნელენი ახალ, შემოქმედებით გზაზე.

ამხანაგებო, აი აქ შეიკრიბა პირველი საკავშირო ებრაელთა მიწად მომწყობი ყრილობა. რა თქმა უნდა, მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ თქვენ უფრო ლამაზად და მომხიბლავად გაქვთ წარმოდგენილი მიწის მუშაობა, ვიდრე ის სინამდვილეშია. ეს არც არის ცუდი. ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ასეთ დროს სინამდვილის შელამაზება მავნეა. მართალია ეს ავნებს პრაქტიკულ მუშაობას, თუ ხელმძღვანელები თვითონ შეპყრობილი არიან ამ ილიუზიით, მაგრამ, ვიმეორებ, მიწის მუშისათვის ეს არ არის მავნე. საჭიროა, რომ მისი უბრალო, გლეხური, მექანიკური მუშაობა, რომელშიდაც იგი ჩაფლულია მთელი დღის განმავლობაში, სულიერად აკმაყოფილებდეს და ამაღლებ დეს მას.

ებრაელს, რომელიც მიწის დამუშავებას ჰკიდებს ხელს და ამიტომ ქალაქურ, თუნდაც პრიმიტიულ ცხოვრებას სცილდება, სოფლად მძიმე, შავი მუშაობა მოელის. ამიტომ მან, მე ვამბობ, არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი დიად ეროვნულ მისიას ასრულებს, დასავლეთის კაპიტალისტი-კი ებრაელი ხალხისათვის მცირე დახმარების მიცემით ცდილოს საიქიოს დაიმკვიდროს ადგილი მოსეს გვერდით. თუ მათ, ამხანაგებო, სწამთ თავისი ერი, თუ მათ მართლაც და შესტკივათ გული ამ ერისათვის, თუ ისინი მორწმუნე ხალხია, საიქიოს ხომ ჰკითხავენ: სად იყავით თქვენ მაშინ, როდესაც შენდებოდა-მტკიცდებოდა სამშობლო, როდესაც მშრომელი ებრაელი ქმნიდა თავის სამშობლოს? მე მგონი, ამხანაგებო, ჩვენ მოწყალებას კი არ ვღებულობთ დასავლეთის კაპიტალისტებისაგან, ჯოინტისა და სხვ. ორგანიზაციებისაგან, არამედ ჩვენ კუთვნილს ხვედრს, და თან მათი სულის ცხონებაზე ვზრუნავთ. რა თქმა უნდა, თუ იქნა დახმარება, ჩვენ უფრო იოლად და სწრაფად გავივლით ამ მძიმე პერიოდს, მაგრამ დახმარებაც რომ არ იყოს, საბჭოთა მთავრობას—მე შემიძლია მისი სახელით პირდაპირ განვაცხადო ეს—ყოველ შემთხვევაში არ შეუძლია შეძლების დაგვარად არ დაეხმაროს ამ საქმეს. ამხანაგებო, ებრაელ მშრომელ მასამ უნდა ნათლად დაანახოს ჩვენი კავშირის სხვა ერებს, საქმით დაარწმუნოს ისინი, რომ ებრაელი ერიც ყველა დანარჩენ ერებთან ერთად შემომქმედი, მწარმოებელი ერია. მე ვამბობ, როცა ებრაელი ერი მიწამოქმედებას ელტვის, იგი არა თუ მხოლოდ შეინარჩუნებს თავს, არამედ დაამსხვრევს აგრეთვე იმ „ობივატელურ“ ყალბ შეხედულებას, თითქოს არ არსებობს ებრაელი მუშა, ებრაელი გლეხი, არიან

მხოლოდ ვაჭრები, მხოლოდ მდიდარნი. ჩვენ-კი ვიცით, რომ მშრომელ ებრაელთა მრავალი მილიონი ლუკმა პურისათვის დღიდან-დღეზე მძიმე ჭაპანს სწევდა და ახლაც სწევს. ნეპმანებსა და ვალიუტის სპეკულიანტებს შორის ბევრი ებრაელია, (ყველამ ვიცით, რომ მთავრობა მათ ებრძვის) მაგრამ ეს თვალებს ვერ აგვიხვევს და ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ მშრომელი ებრაელი მასა ისევე როგორც სხვა ერის მშრომელნი, ლუკმა პურისათვის, არსებობისათვის იბრძვიან. უაზრობაა მშრომელი ებრაელისა და ნეპმან-სპეკულიანტის ერთ ჯგუფში მოქცევა, ერთი იარლიკის მიწებება (როგორც ამას რუსეთის ბურჟუაზია სჩადის). ებრაელი ერი ცდილობს ახლა თავისი სამიწადმოქმედო ახალშენებით დაამსხვრიოს ეს ყალბი აზრი, დაიმკვიდროს ადგილი ჩვენი კავშირის ყველა თავისუფალ, თანასწორ ერებს შორის.

რა საჭიროა მოუწოდო ებრაელ ერს კულტურული ან პოლიტიკურ მუშაობისაკენ? მას ისედაც ბევრი გაუკეთებია ამ დარგებში. მე უკვე ვთქვი, რომ ებრაელობა ჩაება რევოლიუციაში, მჭიდროდ დაუკავშირდა მას. ამაზე ლაპარაკიც არ არის საჭირო. მეცნიერების ყველა დარგში საბჭოთა კავშირში თუ ძველ რუსეთში, ებრაელებს ეჭირათ არა-უკანასკნელი ადგილი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელთა მიწადმოქმედებაც ყველა ერის თვალში ასეთსავე ადგილს დაიჭერს. მთავრობა კი, თავის მხრივ, რა თქმა უნდა დაეხმარება ებრაელ მიწადმომქმედ მოსახლეობას ყოველგვარი საშუალებით, რაც კი მის ხელთ იქნება, ნება მიბოძეთ თქვენის პირით მხურვალე სალამი შეუთვალო ახალ ებრაელ მიწადმომქმედთ, უსურვო მათ სრული გამარჯვება და უთხრა მათ: ნუ შე-

უშინდებით სიძნელეებს, გულს ნუ გაიტეხთ; ამოცანა, რომელსაც თქვენს სწყვეტთ, უფრო დიადია, ვიდრე ის სიძნელეები, რაც მის განხორციელებას ახლავს და ამ მიზნის განსახორციელებლად ნუ დაიშურებთ შრომას (**მქუხარე ტაშისცემა**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

K 1.048/2